ხელშეკრულება

ქ. თბილისი "01" აპრილი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 01 აპრილს ქ. თბილისში ერთის მხრივ სსიპ თბილისის № 202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს „საბავშვო თეატრის მეორე სახლს" (შემდგომში "მომწოდებელი") შორის და მოხდა შეთანხმება შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია „საბავშვო თეატრის მეორე სახლის" სარეჟისორო მომსახურების გაწევა. მომსახურება განხორციელდება შეთანხმებული წესით, მისი ღირებულება შეადგენს – 625 ლარს.

II უფლება - მოვალეობები

„მომწოდებელი" ვალდებულია მომსახურების ხარისხიან შესრულებაზე.
„დამკვეთი " იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება დათქმულ ვადაში.

III ანგარიშსწორების წესი

ანგარიშსწორების წესი – უნაღდო;
ანგარიშსწორება – ლარებში.

IV უფლებების გადაცემა

„მომწოდებელს "არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობები .

V ხელშეკრულების შესრულების შეფასება

თუ ხელშეკრულების შეფასების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება ,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის ,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

VI ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

VII ხელშეკრულების შეწყვეტა

დამკვეთს " შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება „ მომწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

VIII სადავო საკითხების გადაწყვეტა

„დამკვეთი'' და „ მომწოდებელი '' პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში აგვარებენ ყველა უთანხმოებას და დავას . თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „დამკვეთი '' და „მომწოდებელი '' ვერ შესძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას , დავის გადასაჭრელად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

IX სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2011 წლის 01 ივნისამდე . იგი შედგენილია ორ ცალად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

„დამკვეთი''

დირექტორი ხ. ჯალაღონია

სსიპ თბილისის 202-ე უსინათლო
ბავშვთა საჯარო სკოლა
თბილისი,გუთნის ქ. 6
საიდენტიფიკაციო N206091398
ანგარიში GE64TB1100000340800008
სს„თიბისი ბანკის''მარჯანიშვილის ფილ.

ბანკის კოდი **220101850**

„მომწოდებელი''

დირექტორი ი. კვარაცხელია

შპს ,საბავშვო თეატრის მეორე სახლი''

თბილისი, აღმაშენებლის #60
საიდენტიფიკაციო N 202238015
ანგარიში **125389301**
სს„საქართველოს ბანკის'' ცენტრალური

ფილიალი, ბანკის კოდი **220101502**